# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— კვირა, 26 მარტი 1900 წ. № 1083

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## მთელ სიცოცხლეში სამყოფ შემოსავალთა დაზღვევა.

მისაც სურს მიიღოს ხოლმე თავის თანხიდან შეუცვლელი და უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე იძლევა თანხა ჩვეულებრივ სავაჭრო-სამრეწველო საქმეში, მათ ურჩევენ შემოსავალთა დაზღვევას **დამზღვეველ საზოგადოებაში „როსსია“**, ერთბაშად ფულის შემოტანით.

| დაზღვეულის წლოვანება დაზღვევის მოხდენის დროს | 55 წელ. | 60 წელ. | 65 წელ. | 70 წელ. | 75 წელ. | 80 წელ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საზოგადოებაში შეტანილ თანხის მუდმივი შემოსავალი | 8,07% | 9,44% | 11,14% | 13,46% | 16,08% | 17,77% |

ამ გვარი დაზღვევა გამოსადეგია აგრეთვე უფლება მოკლებულ და დაურდომილ პირთა, მოხუცებულ ერთგულ მსახურთა და სხვათა უზრუნველ-ყოფისათვის.

დაწვრილებითი პირობები საზოგადოების გამგეობაში (С.-Петербургъ, Большая Морская, д. № 37) საზოგადოების განყოფილებაში ტფილისში (Сергіевская ул. д. № 6). და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში.

### დამზღვევი საზოგადოება „როსსია“.

ნაღდი თანხა საზოგადოებისა 35.000.000 მანეთს აღემატება. (4—2)

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ზაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (6. 0—20)

კვირას, 26 მარტს, ტფილისის «სობრანიის» დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო

## კონცერტი
(მეორე)

მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ. გუნდი იგალობებს სხვა-და-სხვა ქართლ-კახურს საეკკლესიო საგალობლებს.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდგან 1 მანეთამდეა და ისყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «სობრანიის» მეკარესთან.

**დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. რონინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (6. 0—36)

### მთავრობის განკარგულებანი

ბათუმის განყოფილების გადასახადთა ინსპექტორს ტიტ. სოვ. თავ. წერეთელს ებოძა კოლეჟ. ასესორობა.

კავკასიის განყოფილების გადასახადთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს ვირსალაძეს ებოძა კოლეჟ. სეკრეტრობა.

ქუთაისის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს კოლეჟ. ასესორს ხაბურძანიას ებოძა ნადვორნი სოვეტნიკობა.

ცხინვალის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს კოლეჟ. სეკრეტარს უზნაძეს ებოძა ტიტულ. სოვეტნიკობა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსს ნოტარიუსის თანაშემწეს გუბ. სეკრეტ. კოკოჩაშვილს ებოძა კოლეჟ. სეკრეტრობა.

## ახალი ამბავი

✦ ამას წინად „ნოვ. ვრემია“-ში დაბეჭდილი იყო **კორრესპონდენცია ტფილისიდან**, რომელიც შეეხებოდა ამიერ-კავკასიის საქმეებს და სჯიდა ამ საქმეების შესახებ ისე, როგორც ჩვეულებად აქვს სუვორინის გაზეთს. სხვათა შორის, კორრესპონდენტი იუწყებოდა, რომ აპრილში სასჯულო საქმეთა მინისტრი მიდის კავკასიაში სასამართლო დაწესებულებათა სარევიზიოდაო. ამას კორრესპონდენტი უმატებდა, ვითომც სასჯულო საქმეთა მინისტრს ეთქვას 1895 წელს კავკასიაში ყოფნის დროს, რომ სასამართლო რეფორმა კავკასიაში ადრე იქმნა შემოღებულიო; მკვიდრნი იმდენად ველურნი არიანო, რომ მათთვის უწინდელი სახალხო სასამართლო უმჯობესი იყოო და არა ახალი, ევროპიულის ტიპისაო. შემდეგ კორრესპონდენტი ამბობს, ვითომც ტფილისში დაარსებულმა საგანგებო კომისიამ, რომელსაც დაევალა ავაზაკობის წინააღმდეგ ზომების გამოძებნა, ერთხმად გამოსთქვა ის აზრი, რომ სასამართლოს ახალი წეს-რიგი სრულიად არ არის გამოსადეგი ამიერ-კავკასიაშიო. ამ ჟამად გაზ. „ნოვ. ვრემია“-ში (№ 8642) დაბეჭდილია ოფიციალური განცხადება, რომელიც ამბობს, რომ კორრესპონდენცია თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულიაო: სასჯულო საქმეთა მინისტრის სარევიზიოდ წასვლა კავკასიაში, მინისტრის სიტყვებიც კავკასიის სასამართლო საქმეების შესახებ და კომისიის აზრიც,—ყოველივე ესე „ნოვ. ვრემია“-ს კორრესპონდენტის მიერ გამოგონილი ჭორი არისო.

✦ კავკასიის საიმპერატ. საექიმო საზოგადოებას გადაუწყვეტია გამოსცეს დრო-გამოშვებით **საექიმო და სანიტარო წიგნაკები** ქართულ და სომხურ ენებზე ხალხში გასავრცელებლად. ამ საქმის მოსაწყობად, უმთავრესად კი საჭირო საშუალებათა გამოსაძებნად აურჩევიათ უკვე კომისია, რომლის წევრებად არიან ექიმები: ბ.ბ. ბაბაევი, ტარსაიძე, სტეფანოვი, ორბელი, ქიქოძე და ვაწაძე.

✦ დღეს, 26 მარტს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში მოხდება კავკასიის მცირე წლოვან **დამნაშავეთა გამასწორებელ** ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ, სხვათა შორის, შემდეგი საგნები უნდა განიხილოს; გამგეობის 1899 წ. მოქმედების ანგარიში, 1899 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში, 1900 წ ავჭალის ახალშენის ხარჯთ-აღრიცხვა, მოხსენება კ. კ. ჭყონიას, ახალშენის დირექტორის, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ და სხვ.

✦ ამ ჟამად ტფილისში დაიწყო სხდომები ტფილისის გუბერნიის **მაზრების უფროსთა** კრებისა.

✦ აპრილის 1-დან 5-მდე და 12-დან 21-მდე ტფილისის გამგეობის შენობაზე (ველიამინ. ქუჩიდან) გაკრული იქნება სიები იმ პირთა, ვინც დაიბადა ტფილისში 1878—79 წლებში და რომელნიც წელს იქნებიან მიწვეულნი **სამხედრო სამსახურისთვის**. ყველას შეუძლიან გაისინჯოს ეს სიები და თუ შეცდომები-რამ იქნება შიგ, გამოუცხადოს გამგეობას.

✦ დღეს დუშეთში მიდის **ტფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილება** ადგილობრივ საქმეთა განხილვისათვის. სესსიის წევრებად არიან: ი. ო. პარჩევსკი, ვ. თ. პადალკო და ბრალმდებლის თანაშემწე ს. ი. ეოიდატო-პაცეჩი. სესიის სხდომები გასტანს 31 მარტამდე. გასარჩევად დანიშნულია 20 სისხლის სამართლის საქმე.

✦ ხვალ, 27 მარტს, დაიწყება **სხდომები** ტფილისის საოლქო

სასამართლოს განყოფილებისა ქ. ახალციხეში. განყოფილების წევრებად არიან: ა. ვ. პადალკო, ა. ი. ბოგაევსკი, ბრალმდებელის თანაშემწედ ა. ვ. მოსკალიოვი. გასარჩევია 25 საქმე. სესსია დაიხურება 31 მარტს.

✦ **სახჭოს** ხვალინდელ კრებაზე, წინანდელ საქმეთა გარდა, დანიშნულია კიდევ ახლები; მათ შორის საყურადღებოა ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქმა უფრო მეტი გადასდვას პოლიციის ხარჯად.

✦ ამ თვის უკანასკნელ რიცხვებიდან დაიწყება ისევ მუშაობა **ბორჯომ-ბაკურიანის რკინის გზის** გასაკეთებლად. მუშაობა შეწყვეტილ იქმნა დიდის თოვლებისა და უგზოობის გამო წარსულ შემოდგომიდან.

✦ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას აზრადა აქვს დააარსოს თავის ხარჯით **სკოლა თიანეთის მაზრას სოფელს ალვანში**, სადაც თუშები ცხოვრობენ. სოფელს ალვანში სასკოლე შენობა უკვე დაუთვალიერებია და ჩაუბარებია საზოგადოების სკოლათა ინსპექტორს ბ-ნ ევ. მამინაიშვილს, რომელსაც საჭიროდ უცვნია, ქრისტიანობის აღმადგინებელმა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ ქვემო ალვანელნი განთავისუფლებულ იქმნან სამინისტრო სკოლის შენახვის ხარჯისაგან, რადგან სოფელი, სიშორისა და სხვა და სხვა მიზეზისა გამო, ვერ სარგებლობს ამ სკოლით. ალვანელებს სკოლისათვის შენობა, რომელზედაც 1400 მან. დაუხარჯავთ, უკვე სამი წელიწადია, რაც აუშენებიათ. შენობას მხოლოდ ცოტაოდენი გადაკეთება სჭირდება თურმე. („ივ.“).

✦ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს დაუნიშნავს **გასასყიდად** სავალო გარდასახადების შეუტანლობის გამო მამულები: ტფილისის გუბერნიაში—87, ქუთაისისაში—48. ვაჭრობა დანიშნულია 2 მაისს.

✦ „ტფ. ფურცელს“ ატყობინებენ ქუთაისიდან, რომ ინჟ. მიხაილოვს შეუმუშავებია და წარუდგენია ქუთაისის ქალაქის გამგეობისათვის ქუთაისში **წყლის მადის** გაკეთების პროექტი.

✦ თელავის ქალაქის მოურავის თანაშემწეს ფ. ქ. **იონშერს** თხოვნა მიუცია ტფილისის გუბერნატორისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

✦ დღეს, 26 მარტს, ტფილისის მესამე გიმნაზია ჰმართავს სადღესასწაულო ლიტერატურულ-მუსიკალურს დილას რუსეთის ცნობილის სარდლის **სუვოროვის** ხსენების **პატივსაცემლად**. დღესასწაული დაიწყება ნაშუადღევის 1-ლ საათზე გიმნაზიის დარბაზში.

✦ სასულიერო უწყებას გადაუწყვეტია შემოიღოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში **ხატვა-ხაზვის სწავლება**.

✦ **მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.** როგორც მკითხველებმა უწყიან, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებულს აბრეშუმის გრენას არტყია სამ-ნაირი ბანდეროლი: 1) თეთრი ფერისა და წითელი ლაქის ბეჭედი ზედ წარწერით: „ცელიულიარულია“ (უპებრინო), რომელიც ნიშნავს, რომ ამ და ამ ფირმის გრენა ამ კოლოფში სალია, ცელიულიარულად დამზადებული, ე. ი. ყოველ წყვილს პეპლას (დედალ-მამალს) ცალკე ბლონდის ან ქაღალდის პარკუჭანებში (cellula) დააყრევინეს გრენა, შემდეგ თითოეულ პარკუჭანიდან პეპლები გარჩეული იქმნა მიკროსკოპიულად. 2) მწვანე ფერისა და წითელი ლაქის ბეჭედი ზედ წარწერით „промышленная“ (სამრეწველოა, საბაზრო)— ე. ი. პეპლები პარკუჭანებში არ ყოფილა მოთავსებული და მიკროსკოპიულად გარჩეული. საბაზრო „промышленная“ გრენა მზადდება ამნაირად: ყველა პეპელა (დედალ-მამალი), სალია იგი თუ ავადმყოფი, მოთავსებულია ერთს ფურცელ ქაღალდზე ან ტილოზე, (როგორც ჩვენში იცოდნენ ძველად); ისინი აქ სდებენ გრენას, შემდეგ ამ გრენას მოაგროვებენ ერთად და, გახუფთავების შემდეგ, ჰყრიან ცალკე კოლოფებში. რასაკვირველია გრენიორები (მეთესლეები) სცდილობენ საბაზრო გრენის დასამზადებლად ამოარჩიონ იმისთანა ალაგი, სადაც ავადმყოფობა არ არის და იქ გამოჰკვებონ ჭიები სანაშენო პარკებისათვის. ხშირად ზოგიერთი მათგანი ვიდრე სათესლედ გაუშვებდნენ პარკებს ან პეპლებს, რამოდენიმე პროცენტს მიკროსკოპიულად სინჯავენ და ბევრი მათგანი ავადმყოფი თუ არ აღმოჩნდა, მაშინ გაუშვებენ სათესლედ. ამნაირად დამზადებული გრენა გაცილებით დაბლა სდგას ცელიულიარულად დამზადებულზე, რადგანაც პირველში (საბაზროში) სულ ცოტა პროცენტი მაინც არის ავადმყოფი (პებრინიან). როგორც გამოცდილება ამტკიცებს, საბაზროდ დამზადებულ გრენიდანაც შეიძლება მიიღოს მეაბრეშუმემ საშუალო მოსავალი პარკებისა და ამისათვის საბრეშუმო სადგური ურჩევს მეაბრეშუმეთ შეიძინონ საბაზროდ დამზადებული აბრეშუმის გრენა, თუ რაიმე მიზეზის ძალით არ უხერხდებათ ცელულიარულად დამზადებულ გრენის შეძენა. 3) წითელი ფერის ბანდეროლი და შავი ლაქის ბეჭედი ზედ წარწერით: **„заражена пебриною“**. აქვე რამოდენიმე ალაგას აწერია. ქართულად, სომხურად და თათრულად— „ავადმყოფია“. ამნაირ ბანდეროლიან კოლოფებს სადგური უბრუნებს გრენიორებს მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი მათ არ დაარიგებენ ან არ გაჰყიდიან, არამედ უკან გაუგზავნიან გრენიორებს საზღვარ გარეთ. (ჯერ-ჯერობით სადგურს არ აქვს უფლება უვარგისი გრენის დაწვისა). ყველა ცნობები იმის შესახებ, თუ რა და რა ფერის ბანდეროლების იქნება შემორტყმული სხვა-და-სხვა თვისების გრენის კოლოფები, ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველთ, მაგრამ როგორც გვატყობინებენ, ზოგიერთ კოლოფებზე, რომლებზედაც თეთრი ბანდეროლი აკრავს და წითელი ლაქის ბეჭედი უზის ზედწარწერით „целлюлярная (безъ пебрины), სიტყვა „целлюлярная“ წაშლილია თურმე და ამ გარემოებას დიდს ეჭვში შეჰყავს მეაბრეშუმეები, რომელთაც არ იციან, სასურველია თუ არა ამ ნაირი ბანდეროლიანი კოლოფების შეძენა. ამ კითხვის შესახებ ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან გვაქვს შეტყობილი, რომ, თუმცა თეთრ ბანდეროლიან კოლოფებზე სიტყვა „целлюлярная“ წაშლილია, (რადგანაც გრენა მართლაც არ აღმოჩნდა ცელულიარულად დამზადებული), მაგრამ ამ ბანდეროლიან კოლოფში გრენა უპებრინოა და უფრო საიმედო, ვიდრე მწვანე ბანდეროლიანი კოლოფის გრენა. აქვე საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა უპებრინო, სალმა გრენამ ცუდი ამინდებისა, მოუვლელობისა და უჭმელობისა გამო უფრო ნაკლები მოსავალი მისცეს მეაბრეშუმეს, ვიდრე ცოტა პებრინიანმა, საბაზროდ დამზადებულმა გრენამ. მაგრამ ამნაირი საბაზრო გრენიდან უფრო ნაკლები თვისების ძაფი ამოდის და მექარხნეებიც ნაკლებ ფასებს იძლევიან.

## ტფილისის თავად-აზნაურთა კრება

თავად-აზნაურთა გუშინდელი კრება დაიწყო დილის 10 საათზე. წინანდელ სხდომათა პროტოკოლების დამტკიცების შემდეგ, თავჯდომარემ გამოაცხადა, რომ განსახილველი აღარა-არის-რა და უნდა შევუდგეთ არჩევნებსაო.

**თავ. გ. ბეგთაბეგოვი.** სანამ არჩევნებს შევუდგებოდეთ, საჭიროა კრების მაგიერ მადლობა გამოვუცხადოთ თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის სამსახურისათვის.

**თავ. დ. ჯანდიერი.** კარგი იქნება თავ. ბეგთაბეგოვი განუმარტავდეს კრებას თავ. ბაგრატიონის ღვაწლს.

**თავ. ვ. გ. მაჩაბელი.** სრულიადაც მეტია კრების მიერ წინამძღოლის მოღვაწეობის განხილვა. თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი 4 წელიწადი გვემსახურა და ესეც საკმარისია მადლობის გამოცხადებისათვის.

**თავ. გ. ნ. დიასამიძე.** თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ორი თვალსაჩინო საქმე გაგვიკეთა; შეგვაძინა ქარვასლა და საადგილ-მამულო ბანკში თავად-აზნაურთ წარმომადგენლობა მოგვიწყო. ამიტომ საჭიროა მადლობა გადავუხადოთ.

**თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი.** კანონის ძალით ეს საკითხი კენჭის ყრით უნდა გადასწყდეს.

ცოტაოდენ კამათის შემდეგ კრებამ, თანახმად დეპუტატთა საკრებულოს წინადადებისა, უკენჭოდ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს წინამძღოლად ნამყოფს თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის.

შემდეგ თითოეულმა მაზრამ ცალ-ცალკე აირჩია სათავად-აზნაურო თანამდებობებზე და სხვა-და-სხვა კომისიებში შემდეგი პირები *):

**ტფილისის მაზრა:** მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად გენ.-მაიორი ი. ბ. საგინაშვილი (50 თეთრი და 29 შავი); მის კანდიდატად—თავ. მ. ი. ორბელიანი (63 თეთრი და 14 შავი); დეპუტატებათ—ი. გ. თულაშვილი (60 თეთრი) და გ. ი. ყარაშვილი (30 თეთრი და 30 შავი); თავად-აზნაურთა მამულის მმართავ გამგეობის წევრებად—გ. გ. ქართველიშვილი და დ. ზ. ბარათაშვილი; საიუბილეო კომისიაში (რომელმაც უნდა მოაწყოს დღესასწაული საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეისა) ვ. ა. სარაჯიშვილი; სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში თავად-აზნაურობის წარმომადგენლებად—თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, მ. პ. ისარლოშვილი და თავ. გ. ნ. დიასამიძე.

**გორის მაზრა:** მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად—თავ. გ.

*) თუ მაზრის წინამძღოლის ან მისი კანდიდატის, ან დეპუტატის თანამდებობაზედ რამდენიმე კაცია არჩეული, დამტკიცებულ იქმნება ის, ვინც მეტი კენჭი მიიღო.

ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი (43 თეთრი); მის კანდიდატებად—თავ. მ. რ. ერისთავი (40 თეთრი და 3 შავი) და თავ. ნ. ა. თუმანიშვილი (38 თეთრი და 5 შავი); დეპუტატებად—თავ. გ. ნ. დიასამიძე (41 თეთრი და 2 შავი), გენ.-მაიორი კ. ი. მამაცაშვილი (38 თეთრი და 5 შავი) და თავ. ა. ა. ამირაჯიბი (37 თეთრი და 6 შავი); მამულის გამგეობაში—თავ. კ. კ. ხერხეულიძე; საიუბილეო კომისიაში გენ.-მაიორი ხ. ი. მამაცაშვილი.

**სიღნაღის მაზრა:** მაზრის წინამძღოლათ—თავ. ა. გ. ვაჩნაძე (9 თეთრი და 8 შავი); კანდიდატებად კენჭი იყარეს—თავ. მ.. რ. ვაჩნაძემ და თავ. ნ. ა. ვაჩნაძემ, ორივეს ამოუვიდა შვიდ-შვიდი თეთრი და ათ-ათი შავი; დეპუტატებათ—თავ. ს. დ. ანდრონიკაშვილი (12 თეთრი და 4 შავი) და თავ. ი. ი. აფხაზი (9 თეთრი და 6 შავი); მამულის მმართავ გამგეობაში—თავ. ი. დ. ანდრონიკაშვილი და თავ. ვ. დ. ვაჩნაძე; საიუბილეო კომისიაში—ი. რ. ანდრონიკაშვილი და თავ. კ. ე. ვაჩნაძე.

**თელავის მაზრა:** მაზრის წინამძღოლად—თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი (12 თეთრი); მის კანდიდატებად—ი. ა. ქობულაშვილი (11 თეთრი და 1 შავი) და თავ. ა. რ. ვახვახიშვილი (11 თ. და 2 შ.); დეპუტატებად—ზ. ტ. ჯაფარიძე (11 თ. და 1 შავი) და ლ. გ. მაყაშვილი (10 თ. და 3 შ.); მამულის მმართავ გამგეობაში— გენ.-მაიორი თავ. ი. ს. ჭავჭავაძე და თავ. ე. გ. მაყაშვილი; საიუბილეო კომისიაში—თავ. ი. ს. ჭავჭავაძე და თავ. ბ. ო. ჩოლოყაშვილი.

**დუშეთის მაზრა:** წინამძღოლად გ. ა. ყარანგოზიშვილი (19 თ. და 8 შ.); მის კანდიდატად თავ. ნ. დ. ერისთავი (18 თ. და 9 შ.); დეპუტატებად—ზ. ზ. გედევანიშვილი (25 თ. და 2 შავი) და თავ. ლ. მ. ციციშვილი (24 თ. და 3 შავი); მამულის მმართავ გამგეობაში—ზ. ზ. გედევანიშვილი; საიუბილეო კომისიაში—თავ. ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი და თავ. ნ. ზ. რატიშვილი.

**ბორჩალოს მაზრა:** წინამძღოლებად—ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი (23 თეთრი) და თავ. გ. დ. აფხაზი (23 თეთრი) კანდიდატად—გენ.-მაიორი იედიგაროვი (17 თეთრი და 5 შავი); დეპუტატად—ი. შ. შანშიევი (23 თეთრი); მამულის მმართავ გამგეობაში—გენ.-მაიორი იედიგაროვი; საიუბილეო კომისიაში—თავ. გ. ი. ორბელიანი და გენერალ-მაიორი ქილაშაილი.

შემდეგ დასდგეს ყუთები გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, დეპუტატთა საკრებულოს მდივნისა და მის თანაშემწესი. არჩეულ იქმნენ: გუბერნიის წინამძღოლად—ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი (136 თეთრი და 8 შავი), მდივნად—ასლამაზოვი და მის თანაშემწედ ჯავრიშვილი, ორივე ერთხმად.

კრება დაიხურა საღამოს 5 საათზე.

---

# დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 მარტი

**ლონდონი.** „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ მეფკინგიდან 17 (30) მარტს, რომ ბურების ჯარი მეფკინგის გარშემო 20,000 კაცამდეაო. დღეს ზარბაზნები უფრო ძლიერად დაუშინეს ქალაქს. აქა ფიქრობენ, რომ ქალაქის გასანთავისუფლებლად გამოგზავნილი რაზმი უკვე მოახლოვდაო.

„ტაიმს“-ს 4 აპრილს ბლუმფონტენიდან ატყობინებენ: „გუშინ ბურების დიდძალი ჯარი, სამი ზარბაზნით, გამოჩნდა ბუშმანსკოპის მხარეს, რომელიც უჭირავს ინგლისელთა მზვე-რავ რაზმს. ეს რაზმი შესდგება კვინლანდის ამხედრებულ ქვეითა როტისაგან. ბურების ცალკე რაზმებმა სროლა აუტეხეს ინგლისელების მოწინავე რაზმებს, მაგრამ დღეს დილით გამოირკვა, რომ ბურებს სწადიანთ მარჯვნით მოუარონ ბლუმფონტენს. დღეს დი-ლით ბუშმანსკოპზე ისმოდა ზარ-ბაზნების ხმა სამხრეთით.

**ლონდონი.** „დეილი ნიუს“-ს დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდან 20 მარტს: „პოლკოვნიკ პლუმერს, რომელიც მიდიოდა მეფკინგისაკენ, ქალაქზე ექვსი მილის მოშორებით წინ დახვდნენ ბურები, შეებრძოლნენ და აიძულეს უკან დაეწია. პლუმერს მოუკლეს 20 კაცი და 19 დაუჭრეს, ბურებს კი მოუკლეს ერთი და ორიც დაუჭრეს. პოლკოვნიკმა ბადენ-პაუელმაც სცადა მეფკინგიდან გამოსვლა იმავე დროს, მაგრამ უკუქცეულ იქმნა.

„დეილი ნიუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდან 22 მარტს (4 აპრილს): „გენერალ კლემენცის დივიზიამ, რომელიც შესდგება 6,000 კაცისაგან, თხუთმეტი დღის სიარულის შემდეგ, დღეს გაიარა ბლუმფონტენზე და დროებით დაბანაკდა ქალაქზე ხუთი მილის დაშორებით ჩრდილოეთით.

როგორც „დეილი ნუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცომარკეზიდან 22 მარტს (4 აპრილს) პრეზიდენტი შტეინი დაინიშნა ორანჟეს რესპუბლიკის ჯარების მთავარ-სარდლადო.

**პრაგა.** სეიმმა გადასწყვიდა—წინადადება რუსული ენის სწავლების შესახებ ტეხხნიკურ და საშუალო სასწავლებლებში გადაეცეს განსახილველად სახალხო განათლების კომისიას. წინადადებას ეწინაალმდეგებოდნენ გერმანელები. შამანეკმა განაცხადა, რომ რუსული ენის შესწავლა საჭიროა პოლიტიკურ, სამრეწველო, სახელოსნო და სავაჭრო მიზეზებითაო,—რუსეთს ჯერ ისევ სჭირია ტეხნიკოსნი, ვაჭარ-მრეწველნი და ისეთი სახელმწიფოა, სადაც ბოგემია ასაღებს თავის ნაწარმოებსაო. გრაფი შენბერგი, კონსერვატორთა წარმომადგენელი, წინაალმდეგი იყო წინადადებისა და ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსული ენა შემოღებულ იქმნას რეალურ სასწავლებელში, როგორც არა სავალდებულოსაგანი.

**გააგა.** პირველმა პალატამ, ცოტა ხნის კამათის შემდეგ, მიიღო 41 ხმით 1 ხმის წინააღდეგ საერთაშორისო სამედიატორო სამართლის კონვენციის პროექტი.

**პრეტორია.** ორანჟეს რესპუბლიკის ხალხის წარმომადგენელთა კრება პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ გადადებულ იქმნა. ყველა რაზმებიდან იტყობინებიან, რომ იქ მშვიდობიანობაა.

**კარნარვანი.** ინგლისელებმა კვლავ დაიჭირეს უპინგტონი. ამ მხარეში სრული მშვიდობიანობაა.

**რომი.** დღეს გამოცხადდა მეფის ბრძანება, რომლითაც გაუქმებულ იქმნა ეგრედ წოდებული «Decretto legge».

25 მარტი

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება 23 მარტს: „მეტუენი მატყობინებს ბოსგოფიდან, რომ გარს შემოეხვია გენერალ ვილბუა მარეილის ჯარს; ვერავინ გადარჩა. ვილბუას მოუკლეს შვიდი ბური და დაუჭრეს რვა, 54 ტყვედ არის წაყვანილი. ინგლისელებს 4 მოუკლეს და 7 დაუჭრეს.“

მეორე დეპეშა რობერტსისა 23 მარტს იტყობინება: „მე ვშიშობ, რომ ორ როტა ქვეითა ჯარს და ერთი როტა ამხედრებულ ქვეითა ჯარს რედესბერგთან ბურები გარს შემოერტყნენ. ბურების ჯარი დიდი იყო, ოთხისა და ხუთის ზარბაზნით. ინგლისებმა გაუძლეს მტერს 23 მარტის ნაშუადღევიდან 22 მარტის დილის 9 საათამდე. საფიქრებელია, რომ ამის შემდეგ ისინი დანებდნენ მტერს“.

როგორც კი მიიღო რობერტსმა ცნობა ბრძოლის შესახებ, მაშინვე უბრძანა გატეკრს სწრაფლად წავიდეს რედერსბერგისაკენ. გარდა ამისა რობერტსმა გაგზავნა კამერონის მთიულნი ბეთანიისაკენ. გატეკრი მივიდა რედერსბერგს დილის $10^1/_2$ საათზე; მას წინ არავინ გადაეღობა, მაგრამ მან ვერაფერი გაიგო ქვეითი ჯარის შესახებ; ეჭვს გარეშეა, რომ ის ბურებმა წაიყვანეს ტყვედ.

**ლონდონი.** ოფიციალურად იტყობინებინებიან, რომ კორნსპრუიტთან ინგლისებს მოუკლეს 3 კაცი, დაუჭრეს—80, 352 უგზოუკვლოდ დაიკარგა.

**სპრინგფონტეინი.** იაგერსფონტენიდან სპრინგფონტენისაკენ მიმავალს მატარებელს და იმ სიმაგრეებს, რომლებიც სპრინგფონტენის ბანაკიდან ხუთი მილით წინ არიან, მტერმა დაუწყო სროლა. ცხადია. მტერი მოდის რკინის გზის მხრიდან დასავლეთისაკენ.

**ლონდონი.** პალატა. უინდგემი ამტკიცებს, რომ ინგლისელებმა ტყვედ წაიყვანეს 10 მარტამდისინ ტრანსვაალისა და ორანჟეს მცხოვრებთაგან სულ 5,000 კაცი. თუ რამდენი ინგლისელია ტყვედ წაყვანილი, ჯერ დაახლოვებით არ იციან. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და ტყვედ წაყვანილთა რიცხვი 18 მარტს უდრიდა 3,466. მთავრობა ჯერ-ჯერობით შესაძლოდ ვერ ჰხედავს ტყვეთა შეცვლას.

პალატამ მეორე კითხვის შემდეგ მიიღო ბილლი სათადარიგო ფლოტის შესახებ, რომლითაც საზღვაო მმართველობას ეძლევა უფლება მოიწვიოს სათადარიგო ფლოტი, როდესაც იგი ამას საჭიროდ დაინახავს.

**კაპშტადტი.** კაპშტადტიდან 22 მარტს გამოსული გემი „მექსიკან“-ი, რომელიც ეკუთვის საზოგადოებას „union castte“-ს დაეჯახა კაპშტადტის ორს გასავალში ტრანსვაალის გემს და დაიღუპა.

**ლონდონი.** „ოლოიდა“-ს ცნობით, „მექსიკან“-ი დაიღუპა კაპშტადტიდან 80 მილის მანძილზედ. შიგ მსხდომნი და უმეტესი ნაწილი ფოსტის გადარჩენილ იქმნა.

**კოპენჰაგენი.** თუმცა გერინგის სამინისტრო სამსახურს თავს დაანებებს სეიმის სხდომების დასრულების შემდეგ, მაგრამ უკვე დანამდვილებით იციან, რომ ახალს სამინისტროს შეადგენს ლანდსტინგის წევრი მემამულე კამერგერი

ზესტედი. ახალი მინისტრები მემარჯვენენი იქნებიან. სამინისტროების განაწილება ჯერ არ შესრულებულა.

აქაურმა პოლიციამ გასინჯა დღეს ვაგონი, რომელშიაც იჯდა უელსის პრინცი. გასინჯვით სცურდათ გამოერკვიათ, საიდან ესროლა ბოროტ-განზრახველმა.

დღეს სადილზე მეფემ დალია სადღეგრძელო უელსის პრინცისა და პრინცესის და გამოაცხადა სიხარული იმის შესახებ. რომ პრინცი გადარჩა.

**ნეაპოლი.** აქ მოვიდა ჰერცოგი ორლეანისა და გაუგზავნა მილოცვის დეპეშა უელსის პრინცს.

**პარიზი.** პალატამ მიიღო პირველი მუხლი იმ პროექტისა, რომელიც შეეხება სახალშენო ჯარების სამხედრო სამინისტროსათვის გარდაცემას. მთელი პროექტი მიღებულ იქმნა 400 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 131-სა.

**კონსტანტინეპოლი.** იმპერატორმა ვილჰელმმა მადლობა გარდაუხადა სულთანს ფლიგელ-ადიუტანტის ლევენფელდის ხელით მისთვის და დედოფლისთვის სურათების გაგზავნისა და კონსტატინეპოლში გაელილ გერმანელ ოფიცრებისა და მოხელეთა პატივისცემისათვის.

**პეტერბურგის ბირჟა 24 მარტს.**

| | მყიდვე-ლისა | გამყი-დველისა | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5% -ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 214 „ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 91¼ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| 4½% ამავე ბანკისა | — „ | 91 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . | — „ | 98½ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა . . . . | — „ | 91 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 296¼ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 256½ | — „ | — „ |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**კვირა,** 26 მარტი; ახალი სტილით 8 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 280 დღე. მთვარის მე 10 დღე. დიდი-მარხვის ოც-და-მეხუთმეტე დღე. კრება გაბრიელ მთავარ-ანგელოზისა, მოწ. ირინესი და ანნასი.

**ორშაბათი,** 27 მარტი; ახალი სტილით 9 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 279 დღე. მთვარის მე-11 დღე. დიდი-მარხვის ოც-და-მეთექვსმეტე დღე. ხსენება წმ. მატრონასი, მანუელისა, თეოდოსესი, ღირსისა იოანნე მგვიპტელისა.

შემდეგი უქმე: 6 აპრილს—დიდი ხუთშაბათი.

**ნ ი ხ რ ი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჟკ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუა დღის 12 საათზე, 28 მარტს 1990 წელს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა გაკეთება უწმინდური წყლის მილისა აწ არსებულიდან ოლღას ქუჩაზე წყლის მილამდე კიროჩნის ქუჩაზე, სიგრძით 200 საჟენი, ღირებული 5500 მან.

ვისაც სურს დაწვრილებითი პირობების განხილვა, შეუძლია ნახოს გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე (6. 3—3)


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

**გ ა მ გ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ.**

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი . . . . . . | «—70 |
| იგივე II ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე III ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . | «—60 |
| იგივე II ტომი . . . . . | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა . . . | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . . | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა . . . . . | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით . . | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| რძე მისივე . . . . . . . . | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა . . . . . . . | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . . . . | «—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . . | «—10 |

ვინც გაიწერს წაგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება . . . . . . . . | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . . | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . . | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება


გამომც. ზ. ჭუხია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Марта, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.